



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ახიზის ციხე

ახიზის ციხე, ციხესიმაგრე ადრინდ. ფეოდალურ საქართველოში, კლარჯეთში, მდ. არტანუჯისწყლის მარცხ. ნაპირზე (ამჟამად თურქეთში).

გადმოცემით ა. ც. ვახტანგ გორგასლის ბრძანებით კლარჯთა ერისთავს განუახლებია (V ს.), მასვე აუგია აქ ეკლესია. შემდგომში ვახტანგ გორგასალს ახიზა კლარჯეთის ეპისკოპოსის ადგილსამყოფლად დაუდგენია. 1694 – 1732 ჩილდირის ვილაეთის ჯაბა დავთრის მიხედვით, სოფელი და ციხე ახიზა არტანუჯის ლივამში შედიოდა.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; ჩილდირის ვილაეთის ჯაბა დავთარი. 1694 -1732 წწ., ც. აბულაძის და მ. სვანიძის გამოც., თბ., 1979.

დ. ბერძენიშვილი
